

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები  
შპს "სამშენებლო კომპანია მამისონი"-ს  
ლენტეხის მუნიციპალიტეტში დარიშხანშემცველი ნარჩენების  
სარკოფაგის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის  
სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

22 ივლისი, 2019

წარმოგიდგინებ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს [შპს "სამშენებლო კომპანია მამისონი"-ს ლენტეხის მუნიციპალიტეტში დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე.](#)

სკოპინგის ანგარიშში განხილულ საქმიანობასთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს არაერთი საკმაოდ მასშტაბური პროექტია განხორციელებული:

1. მდინარე რიონის აუზში მთავარი დამაბინძურებელი წყაროების ("ცხელი წერტილების") იდენტიფიცირება და შეფასება. ჩატარდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ, 2008 წელს.
2. [ცანას დარიშხანის საბადოზე ეკოლოგიური და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირება.](#) პროექტის მიზანი იყო იმ ღონისძიებათა იდენტიფიცირება, რომელიც აუცილებელია დარიშხანის შემცველი ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირებისა და განთავსებისათვის. პროექტს ახორციელებდა ეუთო და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა/გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი. პროექტი მიმდინარეობდა 2013 – 2014 წელს.
3. გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის ანგარიშის (დოკუმენტიდან გაუგებარია რა დროის პერიოდს შეეხება ანგარიში) თანახმად, „პროექტი "დარიშხანის სამთო ნარჩენების მართვა საქართველოში" პროექტი მიმდინარეობს ჰოლანდიის მთავრობის დაფინანსებითა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით. პროექტს ახორციელებს კომპანია Witteveen+Bos სამინისტროსთან თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსების მიზნით დაგეგმილია: - ორი სამარხის მშენებლობა (ურავი 1, ურავი 3); -ერთი სამარხის შეკეთება (ურავი 2); -მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა; -ტერიტორიის შემოღობვა. ამ ეტაპზე აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისთვის გამოყოფილია ტერიტორიები. აღნიშნული პროექტი სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალურმა საბჭომ გაათავისუფლა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პროცედურებისგან, ჩატარებულია ეკოლოგიური ექსპერტიზა და გაცემულია დადებითი

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.  
ტელეფონი: (995 32) 222 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

დასკვნა. ამ ეტაპზე ხელმოწერის ფაზაშია მემორანდუმი კომპანია RVO-სა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით. პროექტი „საქართველოში ცანას დარიშხანის სამთამადლო წარმოების და გადამუშავების ობიექტებზე ეკოლოგიური და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირება“ ლენტეხის მუნიციპალიტეტში ეუთოსთან თანამშრომლობის რეჟიმში განხორციელდა დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსების მიზნით ცანა 1 და ცანა 3-ზე ორი სამარხის სამშენებლო პროექტის მომზადება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით“.

4. გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის ანგარიშის (უცნობია რა პერიოდს ფარავს ანგარიში) თანახმად, პროექტი ლენტეხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა პროექტი - „საქართველოში ცანას დარიშხანის სამთამადლო წარმოების და გადამუშავების ობიექტებზე ეკოლოგიური და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირება“, რომლის ფარგლებშიც ეუთოსთან თანამშრომლობის რეჟიმში დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსების მიზნით ცანა 1 და ცანა 3-ზე მომზადდა ორი სამარხის სამშენებლო პროექტი შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით.

ჩამოთვლილი პროექტების განსახორციელებლად საკმაოდ დიდი რესურსია დახარჯული და მიგვაჩნია, რომ ამ პროექტების ფარგლებში შექმნილი ინფორმაცია ინტენსიურად უნდა იყოს გამოყენებული საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის [ანგარიშში](#) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, “სოფელ ცანაში დარიშხანშემცველი ნარჩენების არსებული მდგომარეობის გაცნობის, შეფასებისა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 მაისის N2-382 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლების/სპეციალისტების ჩართულობით. ხელშეკრულება გაფორმდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „გამა კონსალტინგს“ შორის. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლენტეხის რაიონში, სოფელ ცანას ყოფილ დარიშხანის სამთამადლო წარმოების და გადამუშავების ობიექტებზე (ცანა 1, ცანა 2 და ცანა 3) დარიშხანის შემცველი მაგნე ნივთიერებების გაუვნებლობის მიზნით უსაფრთხო სარკოფაგების მოწყობისათვის. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლენტეხის რაიონში, სოფელ ცანას ყოფილ დარიშხანის სამთამადლო წარმოების და გადამუშავების ობიექტებზე (ცანა 1, ცანა 2 და ცანა 3) დარიშხანის შემცველი მაგნე ნივთიერებების გაუვნებლობის მიზნით უსაფრთხო სარკოფაგების მოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV კოდი: 71242000) შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (სატენდერო განცხადების # NAT180015760).” ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პროექტის ფარგლებში უკვე მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ჩატარდა საპროექტო ტერიტორიების ტოპოგოდეზიური კვლევა, საპროექტო ტერიტორიების საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევა და ცანა-3-ის ტერიტორიის ჰიდროლოგიური კვლევა. ასევე, შეფასდა ცანა-1-ის და ცანა-3-ის დამაკავშირებელი 20კმ სიგრძის გზის ტექნიკური მდგომარეობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გაუგებარია რა პროცესი მიმდინარეობს ამჟამად, რატომ მოხდა რესურსის ხარჯვა წინასწარ გზშ-ს მომზადებაზე და თუ დოკუმენტი უკვე მომზადებულია, ანუ შექმნილია გაცილებით მეტი ინფორმაცია ვიდრე სკოპინგის ანგარიშში არის წარმოდგენილი, რატომ არ არის ეს დოკუმენტი სკოპინგის ეტაპზე ხელმისაწვდომი. აქვე საგულისხმოა, რომ სამინისტროს ანგარიშში საუბარია წარმოების და

გადამუშავების 3 ობიექტებზე (ცანა 1, ცანა 2 და ცანა 3), ხოლო სკოპინგის ანგარიშში ყოველგვარი განმარტების გარეშე განხილულია მხოლოდ ორი - ცანა 1 და ცანა 2.

### **შენიშვნები წარმოდგენილ დოკუმენტზე**

2. 2.3.2 ქვეთავის მიხედვით, იგეგმება დაბინძურებული ნიადაგის მოჭრა და დაბინძურებული კასრების ამოღება. ამავე ქვეთავის მიხედვით, სამუშაოების შედეგად გაჩენილი ორმოები ამოივსება სუფთა ნიადაგით. დასაზუსტებელია საიდან იგეგმება ნიადაგის შემოტანა.

3. დოკუმენტში არ არის განხილული ცანა 2-იდან ცანა 1-მდე სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების საკითხი. საჭიროა გზა ეტაპზე შეფასდეს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების გარემოზე და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკები და რისკების მართვის შესაძლებლობები.